განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“

ბაკალავრიატი

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 20.12.2021 - 24.12.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 28.12.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია** Physical Medicine and Reabilitation
უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჯანდაცვის ბაკალავრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში / Bachelor of Health Care in Physical Medicine and Rehabilitation 0915.1.1
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	თერაპია და რეაბილიტაცია (0915) Therapy and Rehabilitation (0915)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება N98

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე (სსიპ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი (შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტირებულია 2016 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N98, 16.08.2016).

დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წერილით (ცენტრში რეგისტრაციის N310063) წარმოდგენილ იქნა „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 1 21 0001385051, 17/12/2021) საფუძველზე პროგრამაზე განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი ზემოთ მითითებული პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“, „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის მახასიათებლებია:

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჯანდაცვის ბაკალავრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.
- პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი.
- სწავლების ენა - ინგლისური.
- პროგრამის სტრუქტურა - ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი და თავისუფალი კომპონენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 1 21 0001385051, 17/12/2021) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე, თამარ გვიანიშვილი განახორციელა ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა ცენტრში (ცენტრში რეგისტრაციის N310063) შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედი“-ს (შემდგომში - დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი და პროგრამის კომპონენტების სილაბუსები).

პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის (კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების) შესწავლით. შეფასება განხორციელდა სტანდარტების იმ კომპონენტებთან მიმართებაში, რომლებთანაც დაკავშირებით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. შეფასების შედეგების საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი, ხოლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად - წინამდებარე დასკვნა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

<u>**სტანდარტი 1**</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

1.1 კომპონენტი - მეტ წილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.2. კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>**სტანდარტი 2**</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.6. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

<u>1.1. კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში მკაფიოდ აისახოს აისახოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა მიმართული.

<u>1.2. კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.

<u>2.3. კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები იყოს ფორმულირებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად, ახლანდელ დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით.
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი მიღწევადობის და გაზომვადობს თვალსაზრისით.

<u>2.6. კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული შეფასების სისტემა, რათა იყოს უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემასთან შესაბამისობა;
- რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და მათთვის მინიჭებული ქულების ურთიერთშესაბამისობა (გამოირიცხოს ქულის მინიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი მინიმალურ დონეზე ცოდნას და/ან უნარებს ვერ ადასტურებს)..

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.3. <u>კომპონენტი</u>

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გაუმჯობესება ენობრივი სისწორის თვალსაზრისით.

2.6. <u>კომპონენტი</u>

- სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ადგილზე პრაქტიკული გამოცდის შეფასების მექანიზმი

- სასურველია სილაბუსებს თან ერთვოდეს შეფასების თანამედროვე მეთოდების OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა) და OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) დანერგვასთან დაკავშირებით შემუშავებელი გეგმა, შესაბამისი ჩექლისტებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

-

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე

<u>1.1. კომპონენტი</u>

- **რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში მკაფიოდ აისახოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა მიმართული.**

აღნიშნულ რეკომენდაციაზე გაცემული დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად „წარმოდგენილი პროგრამის მიზნების ფორმულირება ლოგიკურად გულისხმობს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რაც უნდა ჰქონდეთ პროგრამის კურსდამთავრებულებს. უცხოეთში მოქმედი პროგრამების მიზნების მაგალითზე, რომლებიც გამოირჩევა ლაკონიურობით, ჩამოყალიბდა აღნიშნული პროგრამის მიზანიც. ხოლო კონკრეტული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები გაწერილია შესაბამის ველში, ამიტომ მიზნებში მათი დეტალური ჩამოთვლა არამართებულად მიგვაჩნია“.

მტკიცებულება: ვინაიდან სტანდარტის 1.1. კომპონენტის შეფასების დროს არსებული მოთხოვნაა "პროგრამას აქვს <u>ნათლად ჩამოყალიბებული</u> მიზნები" და შეფასების კრიტერიუმია: *პროგრამის მიზანი* "<u>ასახავს</u>, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა", შესაბამისად, რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა დასკვნაში.

<u>1.2. კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზ-რუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: პროგრამაში წარმოდგენილი შედეგი „ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას“ არის ის ძირითადი პოსტულატი, რომელიც პირდაპირ პასუხობს უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას. უნივერსიტეტს საკუთარ მისიაში გაცხადებული აქვს, რომ “ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას“, შესაბამისად სასწავლო კურსები ითვალისწინებს სხვადასხვა აქტივოების ორგანიზებას, რომელიც მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისკენ და შესაბამისად ხდება ამ შედეგის შეფასება. მაგალითად, სასწავლო კურსი „ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ველნესი“, სადაც არის დეტალური ჩანაწერი, რომ „პრაქტიკული მეცადინეობები ითვალისწინებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისკენ მიმართულ სხვადასხვა აქტივობებში და ორგანიზებაში მონაწილეობას“, რაშიც სტუდენტი იღებს შეფასებას. ასევე ქულობრივი შეფასება აქვს მინიჭებული სტუდენტის მიერ შესრულებულ აქტივობას

და შეფასების კომპონენეტს წარმოადგენს „აქტივობის ინტეგრაციის ხარისხი (შშმ პირები, მოწყვლადი პირები და ა.შ.)“. აქედან გამომდინარე პროგრამაში აღნიშნული შედეგები მიღწევადი და გაზომვადია. ასევე გვინდა ხაზი გავუსვათ „ადრეულ დიაგნოსტიკა“-ს, რომელსაც ექსპერტები აღნიშნავენ დასკვნის პროექტში, რომ არ არის განმარტებული. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს საუნივერსიტეტო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს და შუალედური მონიტორინგის სისტემას, რომელიც ზომავს შედეგების მიღწევას. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება მედიცინის სკოლის ყველა პროგრამის სასწავლო კურსების შედეგების შუალედური შეფასებისთვის და ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებში დასახელდა როგორც „საუკეთესო პრაქტიკა“. ვინაიდან ექპერტებს არ ქონდათ ინტერვიუს საშუალება და შესაბამისად ვერ მოხდა ინფორმაციის გაზიარება, არც დამატებითი დოკუმენტების სახით არ იქნა მოთხოვნილი, ამან გამოიწვია ეს გაუგებრობა.

მტკიცებულება:

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი გაზიარებული არ არის, ვინაიდან სტანდარტის 1.2. კომპონენტის მოთხოვნებია: "პროგრამის სწავლის შედეგები "არის გაზომვადი"; "პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება";
პროგრამის შედეგების მიღწევის დადასტურებისათვის წარმოდგენილია თვითშეფასების 2 დანართი, ერთ-ერთში მითითებულია პროგრამის შედეგები და ამ შედეგების ჩამოყალიბებაში მონაწილე სასწავლო კურსები, ხოლო მეორე დანართში მითითებულია პროგრამის შედეგები, შემფასებელთა ვინაობა და სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებები, სადაც მითითებულია: 1) „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“, მაგრამ <u>არ არის განმარტება თუ რას მოიცავს ეს გეგმა</u>, 2) „სამიზნე ნიშნულები“, თუმცა <u>არ დგინდება ამ სამიზნე ნიშნულების მაჩვენებლები</u>.

ექსპერტთა ჯგუფი ვერ იმსჯელებდა განახლდა თუ არა ტერმინი "ადრეული დიაგნოსტიკა" და რა ტერმინით შეიცვალა ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესში, ვინაიდან ეს პროცესები თვითშეფასების ანგარიშში არ ყოფილიყო ასახული. რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა დასკვნაში.

რაც შეეხება რეკომენდაციებს <u>2.3. და 2.6. კომპონენტთან</u> მიმართებაში, დაწესებულება აღნიშნავს
დაშვებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობებს და ეთანხმება რეკომენდაციებს.

რაც შეეხება <u>2.4 კომპონენტში</u> რჩევას, სწავლების მეთოდი SBL - Simulation Based Learning-ს ნამდვილად არის მითთებული სასწავლო კურსის: „კლინიკური უნარები“, „კომუნიკაცია და მოლაპარაკება“ სილაბუსებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანამდე საბაკალავრო პროგრამის დასახელება იყო „სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმე“, რაც შეიცვალა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. დღეისათვის პროგრამის დასახელებაა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“. აქვე აღსანიშნავია, რომ მოდიფიცირების პროცესში არ შეცვლილა პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია - 2016 წელს აკრედიტებული და 2021 წელს წარმოდგენილი პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო/არის „ჯანდაცვის ბაკალავრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში / Bachelor of Health Care in Physical Medicine and Rehabilitation“, დეტალური სფეროს - „0915 თერაპია და რეაბილიტაცია“ (0915.1.1 ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია Physical Medicine and Reabilitation).

კურიკულუმში მითითებულის თანახმად, *„პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების მხარდაჭერას ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის არსის გაგებაში, მათ აღჭურვას უნარჩვევებით, რომლებიც აუცილებელია სხვადასხვა ჯანდაცვის სფეროს დაწესებულებებში მუშაობისათვის, კომპეტენტურობისა და კონკურენტუნარიანობისთვის მულტიკულტურულ გარემოში. ზოგადად, მიზანია გავზარდოთ პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ დასაქმების უფრო მაღალი შანსი, რათა მათ კარიერა გააკეთონ ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა დაწესებულებებში“* (Objectives: „The program targets to support students in development of understanding of the essence of Physical Medicine and Rehabilitation, equip them with skills necessary for working in diverse health care settings, be competent and competitive in multicultural environment. In general the intention is to raise professionals with higher employment chances to make a career in diverse health care settings“) (იხ. კურიკულუმი, გვ. 01), რაც ნაწილობრივ განსხვავდება თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ჩანაწერისაგან: *„საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზანია პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობის და ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოების გზით მოამზადოს კონკურენტუნარიანი ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ჯანდაცვის სექტორში დასაქმებას და პროფესიულ განვითარებას განათლების შემდგომ საფეხურზე“* (იხ. თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7, რუბრიკა „საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს“). ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ერთგვაროვანი მიდგომა პროგრამის მიზნების ფორმულირებისადმი.

პროგრამის მოდიფიცირების შდეგად პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ იქნა პროგრამით მეორე მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ჩანაწერები. წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შეესაბამება პროგრამის დასახელებას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა საჭიროებს დახვეწას, რადგან:

- თვითშეფასების ანგარიშში (რუბრიკა „საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის თავისებურებები“) მითითბულია: „კვალიფიკაციის თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის დარგის ცოდნის და პრაქტიკულ

უნარების არსებობის გარდა, სპეციალისტს მოეთხოვება განსაკუთრებული მიდგომების შესწავლა, რომელიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობისთვის“, რაც პროგრამის მიზნებში ასახული არ არის.

- კურსდამთავრებულის კომპეტენტურობის და დასაქმების მეტი შესაძლებლობის შესახებ ზოგადი ჩანაწერი ნაკლებად ასახავს თუ რა ცოდნა და კომპეტენციები ექნება ამ კურსდამთავრებულს და რა წვლილის შეტანას შეძლებს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

დაწესებულების არგუმენტირებილ პოზიციაში მითითებული განმარტება („მიზნები ლოგიკურად გულისხმობს“) გაზიარებული არ არის, რადგან სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნაა "პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები", ხოლო ამავე კომპონენტის შეფასების კრიტერიუმი არის პროგრამის მიზანი "ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა". შესაბამისად, რეკომენდაცია და სტანდარტის კომპონენტის შეფასება არ შეიცვალა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში მკაფიოდ აისახოს აისახოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა მიმართული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მოდიფიცირების პროცესში შეიცვალა პროგრამის სწავლის შედეგები. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (გვ.7), მოდიფიცირებამდე არსებული პროგრამის შემთხვევაში „სტუდენტს თავად შეეძლო პროფილის ფორმირება და არჩევანის გაკეთება კონცენტრაციის მიხედვით. შესაბამისად შეთავაზებული იყო ორი კვალიფიკაციიდან ერთის არჩევა. მოდიფიცირებული პროგრამა ითვალისწინებს ერთი კვალიფიკაციის მინიჭებას, ამიტომ მოხდა პროგრამის შედეგების დაკონკრეტება ერთი კვალიფიკაციის შესაბამისად და ამოღებული იქნა მეორე კონცენტრაციით გათვალისწინებული შედეგები“.

პროგრამის შედეგები წარმოდგენილია როგორც კურიკულუმში, ისე თვითშეფასების ანგარიშის დანართებში (1.1.-Reh(1), #1.2.-Reh(1)). აქვე აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტებში მითითებული

შედეგები გარკვეულწინად განსხვავდება ერთმანეთისაგან, კერძოდ;

თვიშეფასების ანგარიში (დანრთები #1.1.-Reh(1), #1.2.-Reh(1))	პროგრამის კურიკულუმი (გვ.1 -2)
- ბაზისური მედიცინის და რეაბილიტაციის დარგში მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული ახდენს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას და მისი რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებას, ექიმის დანიშნულების ინტერპრეტირებას და დავალების შესრულებას. - მიღებული ცოდნის, ღირებულების და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე, ეთიკის პრინციპების გათვალისწინებით კურსთამთავრებული ახდენს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგად შეფასებას, ექიმის დანიშნულების ინტერპრეტირებას, რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებას და დავალების შესრულებას; - ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური და ქცევითი მეცნიერებების ძირითადი ასპექტების და ამ მიმართულებების ეთიკური სტანდარტების ცოდნით და მათი დაცვით, კურსთამთავრებული ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას, ზრუნავს პაციენტთა ჯანმრთელობაზე და მათი სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაზე; - კურსთამთავრებულს შეუძლია ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში მონაწილეობა და ეფექტიანი მუშაობა ჯანდაცვის სისტემაში; - კურსთამთავრებულს შეუძლია მონაცემების შეგროვება და განმარტება/ანალიზი, მოპოვებული მონაცემების კრიტიკულ ანალიზზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა და სამედიცინო და არასამედიცინო საზოგადოებაში განხილვა, პაციენტთან და კოლეგებთან კომუნიკაცია სოციალური, კულტურული, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად; - კურსთამთავრებულს შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასე-	სპეციფიკური სწავლის შედეგები (Subject Specific Learning Outcomes): - აფასებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას და აყალიბებს მის რეაბილიტაციის გეგმას საბაზისო მედიცინასა და რეაბილიტაციაში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, ინტერპრეტაციას უკეთებს ექიმის დანიშნულებას და ასრულებს მას. (Makes an assessment of health condition of a patient and tailors his/her rehabilitation plan based on the obtained knowledge in basic medicine and rehabilitation, interprets prescription of physician and accomplishes it.); - დამოუკიდებლად მუშაობს ჯანდაცვის სისტემაში მიღებული ცოდნის, ღირებულებებისა და დამუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე ეთიკური პრინციპების შესაბამისად (Independently works in the health care system based on the obtained knowledge, values and elaborated practical skills according to the ethical principles; accomplishes procedures and manipulations according to professional standards, including complicate problems and difficult environment with protection of patient's rights); - ახორციელებს პროცედურებსა და მანიპულაციებს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, გართულებულ პრობლემებსა და რთულ გარემოში პაციენტის უფლებების დაცვით; - ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას, ზრუნავს პაციენტების ჯანმრთელობაზე და მათი სიცოცხლის ხარისხის ამაღლებაზე, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური და ქცევითი მეცნიერებისა და ეთიკის ცოდნის გამოყენებით (Serves for the welfare of society, cares about patients' health and enhancement of the quality of their life, using the knowledge of health protection, social and behavioural science and ethics); - ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვას და მონაწილეობს ამასთან დაკავშირებულ კითხვებში, ეფექტურად მუშაობს ჯანდაცვის სისტემაში (Promotes health protection and participates in the questions related to this, effectively works in the health care system); - აგროვებს მონაცემებს, ახდენს მათ ინტერპრეტაციას/ანალიზს, მიღებული მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს, განიხილავს მათ სამედიცინო და არასამედიცინო საზოგადოებასთან, ურთიერთობს

ბა, სწავლის და კვლევის შემდგომი პროცესების და ახალი იდეების განვითარება და პრეზენტირება.	პაციენტებთან მათი სოციალური, კულტურული, რელიგიური თუ ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად (Collects data, interprets/analyses them, makes conclusions based on the critical analysis of the obtained data, discusses them with medical and non-medical society, communicates with patients regardless their social, cultural,religious or ethnical background); - შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების თვითშეფასება, სწავლისა და კვლევის პროცესის გაგრძელება, ახალი იდეების შემუშავება და წარმოდგენა (Can self-assess own knowledge and professional skills, continue learning and researching process, develop new ideas and present them). ზოგადი სწავლის შედეგები: - საკითხების დამუშავება სხვადასხვა კუთხით; - კრიტიკული აზროვნება და ლოგიკა; - სხვებთან მუშაობის შესაძლებლობების განვითარება (Generic Learning Outcomes: - Handle issues from a variety of viewpoints; - Critical thinking and Logic; - Develop capabilities in working with others).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია იყოს უზრუნველყოფილი ერთგვაროვანი მიდგომა პროგრამის შედეგების ფორმულირებისა და სხვადასხვა დოკუმენტების მითითებისას.

წარმოდგენილი პროგრამის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ჩამოყალიბებულია აწმყო დროში და აღწერს პროგრამის შესწავლის შედეგად მიღებულ/ჩამოყალიბებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობებსა და ავტონომიურობას.

თვითშეფასების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პროგრამის შედეგის „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ მიღწევის კომპონენტის შესახებ (იხ. გვა 11-13), კერძოდ, ეს კომპეტენცია მიიღწევა პროგრამის შემდეგი კომპონენტების მეშვეობით: ნეირორეაბილიტაცია; რეაბილიტაცია ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებისას; ქირურგიული და ონკოლოგიური რეაბილიტაცია; კარდიოპულმონური რეაბილიტაცია; რეაბილიტაცია კუჭ-ნაწლავის, ენდოკრინული დაავადების დროს, სიმსუქნე; სპორტული მედიცინა და რეაბილიტაცია (განხორციელების ადგილი: ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების ცენტრი) და კვლევითი პროექტი (განხორციელების ადგილი: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი).

პროგრამის შედეგები არის ძირითადად გაზომვადი. რამდენიმე შედეგის შემთხვევაში პრობლემურია მათი გაზომვადობის საკითხი, მაგალითად: შედეგი „ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას“, „შეუძლია ეფექტიანი მუშაობა ჯანდაცვის სისტემაში“. თვითშეფასების დანართის (-2_Reh (1)) თანახმად, ყველა სწავლის შედეგის მიღწევის „მტკიცებულებად“ მითითებულია „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი "ადრეული დიაგნოსტიკა"; სამიზნე ნიშნულები“. აქვე დავძენთ, რომ არ არის განმარტებული რას გულისხმობს „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“, როგორ უზრუნველყოფს მტკიცებულება „ადრეული დიაგნოსტიკა“ შედეგის შეფასებას, მათ შორის ზემოთ მითითებული შედეგების გაზომვას, რა არის სამიზნე ნიშნულების მაჩვენებლები და ა.შ.

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული განმარტება გაზიარებული არ არის, რადგან სტანდარტის წინამდებარე კომპონენტით მოთხოვნაა "პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი," ასევე, "პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება". დაწესებულების მიერ პროგრამის შედეგების მიღწევის დადასტურებისათვის წარმოდგენილია თვიშეფასების 2 დანართი, კერძოდ: 1) „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“, თუმცა არ არის

<u>განმარტება თუ რას მოიცავს ეს გეგმა</u>, 2) „სამიზნე ნიშნულები“, თუმცა <u>არ დგინდება ამ სამიზნე ნიშ-ნულების რიცხობრივი მაჩვენებლები</u>. ასევე, ექსპერტები ვერ იმსჯელებენ განახლდა თუ არა ტერ-მინი "ადრეული დიაგნოსტიკა" და რა ტერმინით (მაგ., ტერმინით „საუკეთესო პრაქტიკა“) შეიცვალა ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესში, რადგან უკანასკნელი ცდება მათი უფლებამოსილების სფეროს და სახელმძღვანელოა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში. შესაბამისად, რეკომენ-დაცია და სტანდარტის კომპონენტის შეფასება არ შეიცვალა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის კურიკულუმი; ▪ თვითშეფასების ანგარიში; თვითშეფასებს დანართები #1.1.-Reh(1), #1.2.-Reh(1)
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☑		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი,

საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამია კურიკულუმის თანახმად პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: „ჩარიცხვის მოთხოვნა გათვალისწინებულია კანონით უმაღლესი განათლების შესახებ: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი ექვივალენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდები ან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური რეგულაციებით; სხვა: სამინისტროს სპეციალური რეგულაციის შემთხვევაში: ინგლისური ენის ცოდნის განაცხადი B2 დონეზე (Enrolment Requirement provided by the Law on HE: School Leaving Certificate or Equivalent, National Unified Entry Exams / MoES special Regulation). Other: In case of MoES special Regulation: Application Proof of Proficiency in English at B2 Level). *<u>შენიშვნა:</u> დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან იკვეთება, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ შეცვლილა.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის კურიკულუმი; ▪ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მოდიფიცირების შედეგად, პროგრამაში გაუქმებულია კონცენტრაციები (მოდიფიცირებამდე არსებული პროგრამა სტუდენტს აძლევდა კონცენტრაციისა და ორი შეთავაზებული კვალიფიკაციიდან ერთის არჩევის შესაძლებლობას). წარმოდგენილი პროგრამის სტრუქრურა ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას და პროგრამის შინაარსს. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტზე. პროგრამას აქვს შემდეგი სტრუქტურა: ▪ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები - 168 კრედიტი, მათ შორის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ბლოკად I ბლოკი (BM) - 54 კრედიტი, II ბლოკი (PMR) - 114 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი; სასწავლო კურსებში

ინტეგრირებული პრაქტიკა - 54 კრედიტი; კვლევითი პროექტი - 18 კრედიტი

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 48-60 კრედიტი. კომპონენტიდან სტუდენტი ირჩევს 3 ძირითად და მინიმუმ 5 არჩევით კურსს (მინიმუმ 30 ECTS, მაგრამ არაუმეტეს 42 ECTS) საერთო 48-60 ECTS დასაგროვებლად.

პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ: პროგრამა მოიცავს თავისუფალ კომპონენტს და სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტს (აღემატება სწავლის ძირითადი სფეროსთვის დადგენილ მინიმალურ 120 კრედიტს), ორივე კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით, არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა აღემატება არჩევითი ნაწილისთვის განსაზღვრულ კრედიტების რაოდენობას, რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტი მოიაზრებს სასწავლო კურსებს და კვლევით პროექტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების დანართად წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებულ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

1) ყველა სასწავლო კურსის შემთხვევაში სილაბუსში მითითებულია:
„სწავლის შედეგების მატრიცა. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი:

ცოდნა და გაცნობიერება		ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
დასკვნის უნარი		სწავლის უნარი	
კომუნიკაციის უნარი		ღირებულებები	

2) უმეტეს სილაბუსში შედეგები არ არის აღწერილი აწმყო დროში, მაგ.:
„1. გაიგებენ და გამოიყენებენ წერის პროცესს (დაგეგმვა, შედგენა, რედაქტირება, გადაკეთება) მოკლე ესეების, გრძელი ესეებისა და მოკლე კვლევითი ნაშრომების შესაქმნელად; 2. გაიგებენ და გამოიყენებენ აკადემიური წერის აუცილებელ კონვენციებს. 3. შეუმუშავებენ და აღწერენ

ლოგიკურ არგუმენტებს. 4. მოიპოვებენ სამეცნიერო წყაროებს თავიანთი კვლევისთვის აკადემიური მონაცემთა ბაზების გამოყენებით. 5. ამოიცნობენ და გაითვალისწინებენ მნიშვნელოვან იდეებსა და კონცეფციებს სამეცნიერო მწერლობაში. 6.შეძლებენ ზუსტად შეაჯამონ, პერიფრაზირება გაუკეთონ, მოიყვანონ ციტატები და დამოწმებები სამეცნიერო წყაროებიდან თავიანთ ნაშრომში.“ („აკადემიური წერა“):

„საფუძვლიანად გაანალიზებს მსოფლმხედველობებსა და ფილოსოფიებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა კვლევის მეთოდს; ამოიცნობს და დააფასებს თვისობრივი და რაოდენობითი კვლევის მიზნებსა და ღირებულებებს ; გაიგებს სოციალურ მეცნიერებათა კვლევის კომპონენტების შინაარს; ამოიცნობს კვლევის პრობლემას და ჩამოაყალიბებს კვლევის კითხვებს; მონაცემების შეგროვების მიზნით აირჩევს და გამოიყენებს კვლევის მეთოდებს, რათა პასუხი გასცეს კვლევით საკითხებს; გააანალიზებს კვლევის მონაცემებს და დაწერს თავისი კვლევის შედეგებზე მოხსენებას.“ („კვლევის მეთოდები“)

3) რიგ შემთხვევაში არ არის გაზმვადი, მაგ.:

„კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს: ესმის გაანგარიშების ძირითადი ცნებების შინაარსი, გააჩნია მეთოდების შესახებ ცოდნა; იცის მიდგომები, თუ როგორ უნდა გადაჭრას ეკონომიკური პრობლემები გაანგარიშების გამოყენებით. სწავლის უნარები: სტუდენტი იღრმავებს თავის ცოდნას კალკულაციაში სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობით და ასევე მზად არის გაიაროს საგანთან დაკავშირებული კურსები (საჭიროების შემთხვევაში) („კალკულუსი“)

4) რიგ შემთხვევაში არარეალისტურია, მაგ.:

შედეგი „მიკრო და მაკრო დონის სოციალური განვითარებების <u>პროფესიონალურად შეფასებისა და ანალიზის უნარი,</u> როგორც კონკრეტულ ქვეყნებში, ისე მთელ მსოფლიოში“ („სოციოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის შესავალი“, წინაპირობის გარეშე, 6 კრედიტი)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები იყოს ფორმულირებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად, ახლანდელ დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით.
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი მიღწევადობის და გაზომვადობს თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გაუმჯობესება ენობრივი სისწორის თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტებში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

გამოყენებულ შფასების სისტემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

1) პროგრამის კურიკულუმში მითითებულია შეფასების სისტემა (Grading System):

Number of points	Mark/grade (short description)	Average performance percentage ratio of successful students (may be used for monitoring assessment adequacy)
91-100	A (excellent)	the best 10 %
81-90	B (very good)	exceeding average 25%
71-80	C (good)	average 30 %
61-70	D (satisfactory)	close to average 25%
51-60	E (sufficient)	the worst passing 10%
41-50	FX (resit in the same semester)	
0-40	F (Fail)	

ამავდროულად, რიგ შემთხვევაში სილაბუსებში მმოცემულია ზემოთ მითითებულისაგან განსხვავებული და მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამო შეფასების სისტემა (მაგ. „სოციოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის შესავალი“, „ფილოსოფიის შესავალი“):

<u>**შეფასების პოლიტიკა შემდეგნაირია:**</u>

<u>უმაღლესი</u>

4.00= A = 95 –100%

3.75= A- = 90 - 94% <u>Summa Cum Laude</u>

<u>საშუალოზე მაღალი</u>

3.50= B+ = 85 - 89%_____Magna Cum Laude

3.25= B = 82 - 84%_____<u>Cum Laude</u>

3.00= B = 80 - 81%

<u>საშუალო</u>

2.75= B- = 78 - 79%

2.50= C+ = 75 - 77%

2.25= C = 73 - 74%

2.00= C = 70 - 72%

<u>საშუალოზე დაბალი</u>

1.75= C- = 68 - 69%

1.50= D+ = 65 - 67%

1.25= D = 63 - 64%

1.00= D = 60 - 62%

F = 59.9% -

2) შფასების კრიტერიუმები და მისანიჭებელი ქულები, რიგ შემთხვევაში, ურთიერთშეუსაბამოა, მაგ,:

- „ცუდი 1-0“ – „ნაკლებად ან თითქმის არ აჩვენებს ცოდნას; ძირითადი პუნქტების მხარდასაჭერად წარმოდგენილია მცირე ან არცერთი მტკიცებულება“ („სოციოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის შესავალი“)
- „1-0 ქულა - არარელევანტური ან არ არსებული თემა; არ მისდევს ფორმატს; პარაგრაფები და დეტალები არ უკავშირდება თემას“ (მაგ., „აკადემიური წერა“; „კრიტიკული აზროვნება და ლოგიკა“
- „1 - შეუსაბამო ან თეზისის გარეშე; არ იცავს ფორმატს; აბზაცები არ უკავშირდება თეზისს“ („კვლევის მეთოდები“)

3) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის შეფასების მიზნით მასალის ზეპირ პრეზენტაციასთან და ქვიზთან ერთად სტუდენტის ცოდნის და უნარების შეფასების მიზნით მითითებულია პრაქტიკული გამოცდა ადგილზე, OSPE -ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა, OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური

გამოცდა, თუმცა არ ჩანს პრაქტიკული გამოცდის შეფასების მექანიზმი, არაა მოცემული OSPE, OSCE-გამოცდის დანერგვასთან დაკავშირებით შემუშავებელი სამოქმედო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის კომპონენტების სილაბუსები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული შეფასების სისტემა, რათა იყოს უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემასთან შესაბამისობა; ○ რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და მათთვის მინიჭებული ქულების ურთიერთშსაბამისობა (გამოირიცხოს ქულის მინიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი მინიმალურ დონეზე ცოდნას და/ან უნარებს ვერ ადასტურებს).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ადგილზე პრაქტიკული გამოცდის შეფასების მექანიზმი ○ სასურველია სილაბუსებს თან ერთვოდეს შეფასების თანამედროვე მეთოდების OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა) და OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) დანერგვასთან დაკავშირებით შემუშავებელი გეგმა, შესაბამისი ჩექლისტებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითა-რებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვი-ლობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

„ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 22

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☑		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ირინე ფხაკაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თამარ გვიანიშვილი